



ქალადოგაგამოვლილი ქალების მიერ მხარდაჭერის სერვისების არჩევისა და გაფართოების კრიტიკული შემთხვევა:

ეფექტური და საჭიროებული მორგებულობები

Brot
für die Welt

შესავალი

წინამდებარე მოკლე ანგარიში წარმოადგენს ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ნაწილს, რომელიც ფოკუსირებულია ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერის სერვისების ეფექტური ანობისადმი მათი დამოკიდებულების შეფასებაზე. ანგარიშში გაანალიზებულია რესპონდენტების პრეფერენციები სერვისების არჩევისას - სახელმწიფო, მუნიციპალური თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული სერვისების მიმართ. ასევე შესწავლილია, რამდენად დაცულად გრძენობენ თავს ქალები ამ სერვისებით სარგებლობისას და, რამდენად მოხდა აღნიშნული მომსახურების შედეგად მათი პრობლემების გადაჭრა; ხოლო სერვისებით დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, რა იყო ამის მიზეზი. მასში ასევე შეფასებულია, რამდენად ეფექტურად დაეხმარა თითოეული სერვისი ძალადობაგამოვლილ ქალებს და როგორ აფასებენ ისინი სხვადასხვა მხარდაჭერის სერვისს მიმწოდებლებისა და სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით.

კვლევის მიგნებები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის არსებული მხარდაჭერის სერვისების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, რაც საბოლოოდ შესაძლებლობას იძლევა მათი ხარისხის გაუმჯობესებისთვის და ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადასადგმელად.


აღნიშნული მოკლე ანგარიში ეფუძნება ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ 2024 წლის მაისი-ოქტომბრის თვეებში ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მონაცემებს. **კვლევამ მოიცვა 11 სამიზნე მუნიციპალიტეტი:** ჩიხატაური, ქობულეთი, წყალტუბო, ქუთაისი, ხონი, თერჯოლა, სამტრედია, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა და ხობი. თვისებრივი კვლევის მეთოდით (ინტერვიუები, ფოკუს-ჯენტები) გამოიკითხა 52 რესპონდენტი, მათ შორის როგორც სერვისის მიმწოდებლები, ასევე სერვისის მიმღებები. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 553 ქალი.

მიგნებები:

- რაოდენობრივი კვლევის მონაცემებით, ძალადობაგამოვლილი ქალები სერვისების მიღებისას (ბოლო 3 წლის განმავლობაში) ყველაზე მეტად დაცულად და უსაფრთხოდ თავს არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისების მიღებისას გრძნობენ, რაც სანდოობის მაღალ მაჩვენებელზე (შემთხვევათა 72%) მიუთითებს (დიაგრამა #2). მეორე ადგილზეა ადგილობრივი ხელისუფლება (შემთხვევათა 55,6%), ხოლო მესამე ადგილს ჰოლიცია (შემთხვევათა 52,6%) იკავებს. აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ ძალადობასთან გამკლავების პროცესში ქალები ძირითადად სწორედ ამ სერვისებს მიმართავენ;
- რაც შეეხება იურიდიული დახმარების სამსახურის, სახელმწიფო თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების სერვისებს, კვლევის შედეგად გამოჩენდა, რომ გამოკითხული ქალები მათ ნაკლებად მიმართავენ. იგივე იკვეთება მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრების შემთხვევაშიც, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ აღნიშნული ცენტრები უმეტესწილად ბავშვებზე არიან ორიენტირებულნი. მშობლებთან მუშაობა, ძირითადად ბავშვის საჭიროებების პრიზმით ხდება, რაც ნაკლებად პასუხობს დედების, როგორც ძალადობის მსხვერპლთა, სპეციფიკურ საჭიროებებს.

დიაგრამა №1

რამდენად დაცულად იგრძენით თავი მხარდაჭერის სერვისის მომსახურების მიღებისას
(შეფასდა ის სერვისი, რომელიც ქალმა მიიღო/იღებს ბოლოს 3 წლის განმავლობაში (N=167)



შენიშვნა: კითხვაზე შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 3 პასუხის არჩევა. შესაბამისად, ცხრილში მოცემულია შემთხვევათა და არა რესპონდენტების რაოდენობა


მიგნებები:

- კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ძალადობაგა-მოვლილი ქალებისთვის პრობლემის გადაჭრაში დახმარების გაწევის თვალსაზრისით, არასამ-თავრობო ორგანიზაციები გამოირჩევიან ყველა-ზე მაღალი ეფექტიანობით (შემთხვევათა 67.6%). შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება ადგილობრივი ხელისუფლების სერვისები (შემთხვევათა 49,7%) და პოლიციის მიერ გაწეუ-ლი დახმარება (შემთხვევათა 46,7%). ეს მიგნება მიუთითებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციე-ბი უფრო მორგებულნი არიან ქალების საჭიროე-ბებს, რაც მათ მიმართ უფრო მაღალი ნდობის და ეფექტიანობის განცდას აჩენს (**ცხრილი #1**);
- მათ შორის, ვინც ვერ იგრძნო თავი დაცულად ან ვერ მიიღო სათანადო დახმარება, ძირითად მი-ზეზებად ასახელებს სერვისის ნაკლებად მორ-გებულობას ბენეფიციარის საჭიროებებზე (43 შემთხვევა) და სერვისის მიმწოდებლის ზედა-პირულ და არაემპათიურ დამოკიდებულებას (39 შემთხვევა). სხვა ფაქტორებს შორისაა პრო-ლების გადაჭრის შეუძლებლობა (31 შემთხვე-ვა) და სერვისის მიღების პროცედურების გა-ჭიანურება (30 შემთხვევა). ეს შედეგები მიუთი-თებს მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან ძალადობაგამოვლილი ქალების ინდივიდუა-ლურ საჭიროებაზე მორგებულობის და მათ მი-მართ უფრო მგრძნობიარე დამოკიდებულების აუცილებლობაზე.

მიზეზები, რატომ ვერ იგრძნეს თავი დაცულად /უსაფრთხოდ, ან ვერ მიიღეს დახმარება (N=167) ცხრილი #1		რაოდე-ნობა
1	გაჭიანურდა/დაგვიანდა სერვი-სის მიღება	30
2	სერვისი არ იყო მორგებული ჩემს საჭიროებაზე	43
3	სერვისის მომწოდებლის დამო-კიდებულება იყო ზედაპირული და არა მგრძნობიარე	39
4	არ მომაწოდეს ინფორმაცია დროულად	17
5	არ მომაწოდეს ინფორმაცია სწორად	11
6	ვერ მოხერხდა ჩემი პრობლე-მის მოგვარება	31
7	მქონდა საბუთებთან დაკავში-რებული პრობლემები, და ვერ გადაწყდა დროულად	23
8	„მსხვერპლის სტატუსის“ არ ქო-ნის გამო ვერ მივიღე დახმარება	10

შენიშვნა: კითხვაზე შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 3 პასუხის არჩევა. შესაბამისად, ცხრილში მოცემულია შემთხვევათა და არა რეს-პონდენტების რაოდენობა

დიაგრამა №2



■ არ მიმღია მომსახურება

■ არ დამეხმარა

■ დამეხმარა

შენიშვნა: კითხვაზე შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 3 პასუხის არჩევა. შესაბამისად, ცხრილში მოცემულია შემთხვევათა და არა რეს-პონდენტების რაოდენობა



**ქალთა მიმართ
ძალადობა!**

მიგნებები:

- თვისებრივი კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების თავშესაფრები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ხანგრძლივი დახმარების გაწევის თვალსაზრისით. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, მან თავშესაფრის მომსახურებით ორი წლის განმავლობაში ისარგებლა, რაც მიანიშნებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ სტაბილურ და უწყვეტ მხარდაჭერას. ამასთან, ქალები ხანგრძლივად ინარჩუნებენ ურთიერთობას არასამთავრობო ორგანიზაციების სპეციალისტებთან, რაც ამ სერვისებისადმი ნდობის მაღალ დონეზე მიუთითებს;
- არასამთავრობო ორგანიზაციები გამოირჩევიან მოქნილობით და ბიუროკრატიული ბარიერების არარსებობით, რაც ბენეფიციარებს სერვისების მიღებას უმარტივებს. უფრო მეტიც, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ კონკრეტული სერვისები, ისინი კოორდინირებულად თანამშრომლობენ სხვა ორგანიზაციებთან ან მომსახურების მიმწოდებლებთან, რაც ბენეფიციარებისთვის პოლისტურ/მრავალმხრივ მხარდაჭერას უზრუნველყოფს;
- **მუნიციპალიტეტებში ფსიქოლოგიური დახმარების სერვისები პრაქტიკულად მიუწვდომელია.** სახელმწიფო სისტემა ფოკუსირებულია მხოლოდ საჭიროებების იდენტიფიცირებაზე და ვერ უზრუნველყოფს ფსიქოლოგიური მომსახურების რეალურ მიწოდებას, რაც ხშირად კვალიფიციური კადრების ნაკლებობითაა გამოწვეული. ამ პირობებში ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის სივრცეს ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები ავსებენ, რაც ხაზს უსვამს მათ შეუცვლელ როლსა და მნიშვნელობას ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერის პროცესში;
- **სახელმწიფო სერვისები ხშირად ფრაგმენტულად მიეწოდება ბენეფიციარებს,** რაც ართულებს პრობლემების კომპლექსურად გადაჭრას. ამასთან, ქალები სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციას ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციებისგან იღებენ, რაც მიუთითებს ინფორმაციის გავრცელების სისტემური ხარვეზებზე.

„ყველა სიტუაციაში ჩვენი ბენეფიციარის პოზიცია არის მნიშვნელოვანი. ყველანაირი სირთულის საქმეს ვკიდებთ ხელს. მაშინაც კი ვიბრძვით როდესაც რადაც სისტემურ ხარვეზს ვხედავთ, თუ არის სამსახურებრივი გულგრილობა და ეს შეიძლება იყოს შეს მხრიდან, ამასც არ ვუკლით გვერდს.“ – „საია“-ს წარმომადგენელი.

„სახელისუფლებო სერვისებთან დაკავშირებით არის ბიუროკრატია და ეს გამოწვევაა მსხვერპლებისთვის. ბევრად მარტივია ჩვენთან სერვისების მიღება. არ არის დროში გახანგრძლივებული, ნდობის ხარისხი და გამარტივებული ურთერთობები არის იმის მიზეზი რის გამოც ძეტად მოგვართავენ.“ - არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

„არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა იყო ჩემს შემთხვევაში მნიშვნელოვანი... არასამთავრობოს თავშესაფარმა უდიდესი როლი ითამაშა ჩემს დახმარებაში... მათ შეძლეს გამოეძერწათ ჩემგან ქალი, რომელიც დღეს მე ვარ“ - „მერკურის“ ზუგდიდში მაცხოვრებელი ბენეფიციარი (გალიდან).


„სახელმწიფო კრიზისულ ოჯახებთან არ მუშაობს - ეს არის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ჩვენი სერვისების. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მსხვერპლი არ არის მზად აღიაროს, რომ ძალადობის მსხვერპლია და მიძართოს პოლიციას. არასამთავრობო ორგანიზაციები კი არ სთხოვენ მას „მსხვერპლობის დამადასტურებელი“ დოკუმენტის წარდგენას. ვერცერთ სახელმწიფო სერვისს ვერ მიიღებ, თუ არ გაქვს შეძაკვებელი ორდერი და ბოლო დრომდე მოთხოვნილი იყო მსხვერპლის სტატუსი. ქვეყანაში სახლემწიფოს მხრიდან ძალზე ნაკლები მუშაობა მიღდინარეობს პრევენციის მიძართულებით.“ - ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრის წარმომადგენელი.

მიგნებები:

- სახელმწიფო, მუნიციპალური და არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისების სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით შეფასებამ (სწრაფი რეაგირება, კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი, ანონიმურობის დაცვა, ხელმისაწვდომობა და ნდობა) აჩვენა, რომ ყველა პარამეტრით, ყველაზე მეტად პოზიტიურად აღიქმება არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისები, რაც მათ მაღალ ეფექტურობასა და ბენეფიციართა საჭიროებებთან მორგებულობაზე მიუთითებს (იხილეთ დიაგრამა #4). **მუნიციპალური სერვისები საშუალო პოზიციას იკავებს, ხოლო სახელმწიფო სერვისების შემთხვევაში გამოვლინდა ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საჭიროება;**
- მხარდამჭერი სერვისების შეფასებისას რესპონდენტთა უმეტესობამ სერვისებს საშუალო („3“) ქულა მიანიჭა, რაც ასახავს საკმარის, თუმცა გასაუმჯობესებელ მონაცემს (იხ. ცხრილი #2). **საშუალო მაჩვენებლით (Mean) ყველაზე მაღალი ქულები მიიღეს მუნიციპალურმა (3.7) და არასამთავრობო ორგანიზაციებმა (3.5), რაც მათდამი შედარებით მაღალ ნდობასა და მიმართვიანობაზე მიუთითებს. მედიანური მაჩვენებელი (Median) არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ყველაზე მაღალი იყო („4“ ქულა), რაც რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ დადებითი და მაღალი შეფასებების არსებობას აჩვენებს („4“ და „5“). მონაცემები მიუთითებს სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე, რათა სხვადასხვა მიმწოდებელმა უკეთ დააკმაყოფილოს ბენეფიციარების მრავალმხრივი საჭიროებები.**

დიაგრამა №3

მხარდაჭრის სერვისების შეფასება სხვადასხვა პარამეტრით, მხოლოდ დადებითი პასუხების (“დიახ”) მიხედვით (N=553)



- სწრაფი რეაგირება
- კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი
- ანონიმურობის დაცვა
- ხელმისაწვდომობა (გეოგრაფიული/ფინანსური)
- ნდობა

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მხარდამჭერი სერვისების შეფასება, ცხრილი #2

		საშუალო (Mean)	მოდა (Mode)	მედიანი (Median)
1	პოლიცია	3.2	3	3
2	ცხელი ხაზი - 116 006	3.05	3	3
3	ადგილობრივი ხელისუფლება	3.7	3	3
4	ცენტრალური ხელისუფლება (თავშესაფარი / კრიზისული ცენტრი)	3.04	3	3
5	არასამთავრობო (უფლებადადამცველი) ორგანიზაციები	3.5	3	4
6	იურიდიული დახმარების სამსახური	3.08	3	3
7	მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი	2.8	3	3

შენიშვნა: Mean არის სერვისების შეფასების საშუალო მაჩვენებელი, რომელიც ზოგად ტენდენციას ასახავს. Mode ყველაზე ხშირად განმეორებადი ქულაა, რაც უმრავლესობის ტიპურ შეფასებას აჩვენებს. Median კი შეფასებების შუა წერტილია, რომელიც განაწილების ცენტრალურ პოზიციას მიუთითებს

რეკომენდაციები

სერვისების მორგებულობის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება: ფსიქოლოგიური და კრიზისული დახმარების სერვისების ხარისხის ამაღლება და გეოგრაფიული თუ ფინანსური ბარიერების შემცირება.

ინტერსექტორული თანამშრომლობის და კოორდინაციის გაძლიერება: არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის და კოორდინაციის გაძლიერება და არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტივის პრაქტიკების, მათ შორის ბიუროკრატიული ბარიერების შემცირება და ნდობაზე დაფუძნებული მომსახურება, ინტეგრირება სახელმწიფო სერვისებში.